თბილისის არქიტექტურა

ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №6578977

ნომერი: AR1976846

თარიღი : 06.07.2023

გაცემის თარიღი : 24.07.2023

გაცნობის თარიღი : 24.07.2023

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი, თენგიზ შეშელიძის ქუჩა, N 116;

დამკვეთი-განმცხადებელი
- ნატო თოგოშვილი პ/ნ 06001003963
- ახალგორი ს. ახმაჯი

ორგანიზაცია:
- ტიბინი დეველოპმენტი კოდი: 400229070

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2023 წლის 28 ივნისის №6533844 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2023 წლის 06 ივლისს № AR1976846 განცხადებით მომართა ნატო თოგოშვილმა და მოითხოვა სამსახურის 2023 წლის 28 ივნისის №6533844 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება და ღია ავტოსადგომების ფართობის ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლებისგან დამოუკიდებლად დაფიქსირება.

სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონეგარემოებები და დაადგინა, რომ სამსახურის 2023 წლის 28 ივნისის №6533844 ბრძანებით №01.11.12.018.257 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე შეთანხმდა მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის (ბლოკი №3) კორექტირებული არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა. მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2023 წლის 28 ივნისიდან 2024 წლის 28 ოქტომბრის ჩათვლით.

განმცხადებლი ითხოვს სამსახურის 2023 წლის 28 ივნისის №6533844 ბრძანებით შეთანხმებულ 0.00 ნიშნულზე არსებული ღია ავტოსადგომების ფართობის 654.1 კვ.მ-ის ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლებისგან დამოუკიდებლად, ცალკე ფართობად დაფიქსირებას.

სამსახურმა დოკუმენტაციის გადამოწმების შედეგად დაადგინა, რომ 0.00 ნიშნულის გეგმაზე მდებარეობს 42 ღია ავტოსადგომი, რომლის ჯამური ფართობი შეადგენს 654.1 კვ.მ-ს. ამასთან, გეგმა არ იცვლება, უბრალოდ ხდება წარმოდგენილ გეგმაზე ავტოსადგომების ფართობების დაზუსტება.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59–ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია მის მიერ გამოცემულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში გაასწოროს ტექნიკური, აგრეთვე გამოთვლის დროს დაშვებული შეცდომები.

შესაბამისად, სამსახურმა მიზანშეწონილად ჩათვალა დააკმაყოფილოს განმცხადებლის მოთხოვნა და გაასწოროს ტექნიკური შეცდომა მის მიერ გამოცემულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59–ე მუხლის თანახმად,

ვბრძანებ:

1. გასწორდეს ტექნიკური შეცდომა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2023 წლის 28 ივნისის №6533844 ბრძანებაში და:

1.1 ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლებისგან დამოუკიდებლად, ცალკე ფართობად დაფიქსირდეს ღია ავტოსადგომების ფართობი 654.1 კვ.მ.

1.2 ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2023 წლის 28 ივნისის №6533844 ბრძანებით შეთანხმებული 0.00 ნიშნულის გეგმა ჩანაცვლდეს წინამდებარე განცხადებაზე ფაილის მიმაგრების ველში წარმოდგენილი ამავე ნიშნულის გასწორებული გეგმით.

2. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2023 წლის 28 ივნისის №6533844 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.

3. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2023 წლის 28 ივნისის №6533844 ბრძანებასთან ერთად.

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან, (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7) კანონმდებლობით დადგენილი წესით, აქტის ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.